## საბაკალავრო პროგრამის შინაარსი

**ა) ძირითადი პროგრამის სახელწოდება –** ტურიზმი (Tourism)

**ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (BBA in Tourism).

**გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით** – 240 ECTS კრედიტი

**დ) სწავლების ენა** - ქართული

**ე) პროგრამის მიზანი**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის სპეციალისტების მომზადებისა და საშუალო დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას. მისი მიზანია სტუდენტების მომზადება კვალიფიციურ სპეციალისტებად ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიისათვის. ტურიზმი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს აძლევს იმ ცოდნას, რომელიც მათ ესაჭიროებათ ტურიზმის ინდუსტრიისა და მენეჯმენტის შესწავლისათვის. საქართველოში, სამოქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება–სრულყოფისათვის, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი სამუშაო ხორციელდება. ტურიზმის სფეროს განვითარება აღიარებულია ქვეყნის პრიორიტეტად. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება, მოითხოვს ამ სფეროს კომპეტენტურ კადრებს, რომელთა დეფიციტი ქვეყანაში საგრძნობია. ქვეყნის სტრატეგიული ამოცანა – ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში რეალური წვლილის შეტანა, საჭიროებს შესაბამის მხარდაჭერას უნივერსიტეტის მხრიდან, რაც ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიისათვის კომპეტენტური ახალგაზრდა თაობის აღზრდას გულისხმობს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. იგი ითვალისწინებს სწავლებას ორი განსხვავებული, არჩევითი მოდულით – „ტურიზმის მენეჯმენტი“ და „სასტუმროს მენეჯმენტი“. პროგრამა ფოკუსირებულია მენეჯერული პრობლემების მოგვარების და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, რაც მოეთხოვებათ ტურიზმისა სპეციალისტებს თანამედროვე პერიოდში.

**ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო ეროვნული გამოცდები, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მუხლები.

**ზ) სწავლის შედეგი**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1. <u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

1.1. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა;

1.2. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს ტერმინოლოგიის განმარტება;

1.3. ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების აღწერა;

1.4. დარგის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის,

მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების თავისებურებების და მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება;

1.5. ბიზნეს-საქმიანობის ანალიზის და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების აღწერა და განხილვა;

1.6. ტურისტული ორგანიზაციების ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შეფასება;

1.7. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს კომპლექსურ საკითხების შეცნობა და მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებთან ტურიზმის როლის დაკავშირება.

2. <u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>

2.1. ტურისტულ ორგანიზაციაში პროცესების მართვის შეფასება, მენეჯმენტის პროცესის მონაწილეების განსაზღვრა, ორგანიზაციის სტრუქტურის აგება, ეფექტიანობის გაზომვა;

2.2. მონაცემების თავმოყრა, დაჯგუფება, ანალიზი, შესაძლებლობების განსაზღვრა;

2.3. ფინანსური დოკუმენტების მომზადება, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა;

2.4. საბუღალტრო, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის შედგენა;

2.5. მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების ჩამოყალიბება; შესაბამისი რესურსების შეფასება;

2.6. ტურისტული ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა;

2.7. საკითხის გადასაჭრელად მეთოდების დასაბუთებული შერჩევა;

2.8. ოპერაციულ, ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების შერჩევა, ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირება;

2.9. ეთიკური პრობლემების ამოცნობა, გააანალიზება, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევა და დაცვა;

2.10. კვლევით სამუშაოს შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების /ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ;

2.11. კვლევითი და ბიზნეს პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება;

2.12. რეფერატული სახის შრომის მომზადება;

2.13. საკუთარ სამუშაოზე პასუხისგება და მისი შეფასება/კრიტიკა;

2.14. დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების /ინსტრუქციების შესაბამისად;

2.15. ჯგუფური მუშაობა, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის დემონსტრირება;

2.16. საინფორმაციო სისტემების ტიპების იდენტიფიცირება და ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

3. <u>დასკვნის უნარი</u>

3.1. ინფორმაციის შეფასება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი სტანდატრული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

3.2. დროის დაგეგმვისა და ორგანიზების დაკავშირება;

3.3. რთული საკითხის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება მინიმალური დახმარებით.

4. <u>კომუნიკაციის უნარი</u>

4.1. მშობლიურ ენაზე სპეციალისტებთან კომუნიკაცია და კამათი;

4.2. საქმიანი დოკუმენტის შედგენა მენეჯმენტის ტერმინოლოგიის გამოყენებით; იდეის, არსებული კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად და წარდგენა /პრეზენტაცია;
4.3. თავისი სპეციალობის სფეროს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე საშუალო სირთულის ტექსტების არსებითი შინაარსის თარგმნა უცხო (ინგლისური) ენიდან და საქმიანი დისკუსიის წარმართვა;
4.4. სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით, დიალოგის წარმართვა დიდი ძალისხმევის გარეშე; აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულების განმარტება და სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობისა და ნაკლოვანი მხარეების განმარტება;
4.5. დამოუკიდებლად და სწრაფად უცხო (ინგლისურ) ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; სხვადასხვა თემებზე მოსაზრებების და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად;
4.6. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და შემოქმედებითად გამოყენება.

5. <u>სწავლის უნარი</u>
5.1. ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლება შესაბამისი ლიტერატურის და საინფორმაციო რესურსების გამოყენებით;
5.2. ცოდნის თვითშეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;
5.3. ინიციატივის გამოჩენა;
5.4. დამოუკიდებლად მუშაობა სამეცნიერო ლიტერატურასთან, ცოდნის რეგულარულად განახლება უახლესი ლიტერატურის გაცნობით.

6. <u>ღირებულებები</u>
6.1. ღირებულებების, ახალი და კომპლექსური იდეების ფორმირების პროცესში მონაწილეობა;
6.2. ღირებულებათა დასამკვიდრებლად სწრაფვა;
6.3. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

## თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წყვილში მუშაობა, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ესეს შესრულება, ბიზნეს წერილების დაწერას და ა.შ.), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ინდუქცია, დედუქცია, ახსნა–განმარტებითი ანგარიშის დაწერა, რეფერატის შესრულება, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა და სხვა მეთოდები.

## ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები განსხვავებულია და მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

| ქულები | შეფასება | ნიშანი |
|---|---|---|
| 91 - 100 | ფრიადი | A |
| 81 - 90 | ძალიან კარგი | B |
| 71 - 80 | კარგი | C |
| 61 - 70 | საშუალო | D |
| 51 - 60 | საკმარისი | E |
| 41 - 50 | არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება | FX |
| 0 - 40 | სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი | F |

## კ) პროგრამის სასწავლო გეგმა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია (8 სემესტრი) – 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას. აქედან 15 კვირაზე გათვალისწინებულია სააუდიტორო მუშაობა, ხოლო დანარჩენი 4 კვირა ეთმობა სასესიო პერიოდს – გამოცდებისთვის მომზადებას და დასკვნით გამოცდას, ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%-ს, ხოლო 60% – მოდის დამოუკიდებელი მუშაობის წილად.

პროგრამის 240 კრედიტიდან საფაკულტეტო სასწავლო კურსებზე მოდის 30 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომზე – 10 კრედიტი, პრაქტიკა – 10 კრედიტი, თავისუფალი –10 კრედიტი, მაპროფილებელი სასწავლო კურსები – 120 კრედიტი: მათ შორის: არჩევით მოდულებზე მოდის **20** კრედიტი:

- ტურიზმის მენეჯმენტი – 20 კრედიტი
- სასტუმროს მენეჯმენტი – 20 კრედიტი.

ორი არჩევითი მოდულიდან სტუდენტი ირჩევს ერთს.

დამატებითი სპეციალობის პროგრამისთვის გათვალისწინებულია 60 კრედიტი. დასაშვებია ნებისმიერი დამატებითი სპეციალობის შერჩევა, ან შესაძლებელია ამავე მოცულობის თავისუფალი კრედიტების ათვისება.

პროგრამაში ინგლისური ენის კურსებზე სტუდენტები ჯგუფდებიან შემდეგი პრინციპით:

თუ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე არ აქვს ჩაბარებული ინგლისური ენა და ჩაბარებული აქვს სხვა ევროპული ენა, იგი ერთიანდება საწყის დონის ჯგუფში, ხოლო მათ ვისაც ჩაბარებული აქვთ ინგლისური ენა უტარდებათ დონის შესამოწმებელი ტესტი, რომლის შედეგადაც ნაწილდებიან შესაბამისი დონის (A1.1 და A 1.2) ჯგუფში. თითოეული ჯგუფი შესაბამისი ლოგიური თანმიმდევრობით გადის ინგლისური ენის 20 კრედიტს. საწყისი დონის ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტები აღწევენ ინგლისური ენის ცოდნის B1 დონეს, A1.1 დონის ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტები – B2 დონეს, ხოლო A1.2 დონის ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტები C1.

ფორმა 1

# სასწავლო გეგმა

**ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის**

**ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ტურიზმი**

**საბაკალავრო (დიპლომირებული მედიკოსის) პროგრამის სახელწოდება: ტურიზმი**

**პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი**

**აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** 2011 წლის 29 ივნისის N57

**პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011–1015 სასწ.წელი**

| **სასწავლო კურსები / მოდულები** | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები** | | | | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | | | | |
| 1 | მათემატიკა (ტურიზმისათვის) | 5 | 125 | 30 | 30 | 65 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომის | მათ.მეც.დოქტორი თ. ზერეკიძე |
| 2 | მსოფლიო ხელოვნების ისტორია | 5 | 125 | 30 | 15 | 80 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომის | სრ. პროფესორი გ.ბუღაძე (სამხატვრო აკად. რექტორი) |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია | 5 | 125 | 30 | 30 | 65 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომის | ასოც. პროფ. ი. იაშვილი |
| 4 | შესავალი ფსიქოლოგიაში | 5 | 125 | 30 | 0 | 95 | წინაპირობების გარეშე | 2 გაზაფხულის | ფსიქ. დოქტორი. ზ. მხეიძე |
| 5 | სოციოლოგიის შესავალი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობების გარეშე | 2 გაზაფხულის | სრული პროფესორი ი. კაჭკაჭიშვილი |
| 6 | ინფორმატიკა ბიზნესში | 5 | 125 | 0 | 30 | 95 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომის | ასისტ. პროფ. რ. სეთურიძე, მ. ტიკიშვილი, თ. მელქოშვილი |
| **სულ:** | | **30** | | | | | | | |
| **თავისუფალი კრედიტები ( სასწავლო კურსები / მოდულები)** | | | | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | სემინარი /პრაქტიკული | | | | |
| 1 | სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერი საგანი | 5 | | | | | | 7 შემოდგომის | – |
| 2 | | 5 | | | | | | 8 გაზაფხულის | – |
| **სულ:** | | **10** | | | | | | | |
| **მაპროფილებელი სასწავლო კურსები / მოდულები** | | | | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |

| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უცხო ენა 1 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომა | ენების ცენტრის მასწავლებლები |
| 2 | უცხო ენა 2 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 1 | 2 გაზაფხულის | ენების ცენტრის მასწავლებლები |
| 3 | უცხო ენა 3 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 2 | 3 შემოდგომა | ენების ცენტრის მასწავლებლები |
| 4 | უცხო ენა 4 | 5 | 125 | 0 | 90 | 35 | უცხო ენა 3 | 4 გაზაფხული | ენების ცენტრის მასწავლებლები |
| 5 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობების გარეშე | 3 შემოდგომა | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 6 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | 4 გაზაფხული | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 7 | მიკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 125 | 30 | 15 | 80 | წინაპირობების გარეშე | 1 შემოდგომის | ეკონ. დოქტორი რ.სირბილაძე |
| 8 | მაკროეკონომიკის პრინციპები | 5 | 125 | 30 | 15 | 80 | მიკროეკონომიკის პრინციპები (ეკონომიკის პრინციპები 1) | 2 გაზაფხულის | ეკონ. დოქტორი რ.სირბილაძე |
| 9 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მიკროეკონომიკის პრინციპები (ეკონომიკის პრინციპები 1) | 2 გაზაფხულის | სრული პროფ. ე. ხარაბაძე. |
| 10 | ფინანსური აღრიცხვა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის | 3 შემოდგომა | სრული პროფ. ე. ხარაბაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | საფუძვლები | | |
| 11 | მმართველობითი აღრიცხვა – 1 დონე | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | 4 გაზაფხული | ასოც. პროფ. ი. ჭილაძე |
| 12 | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობების გარეშე | 3 შემოდგომა | ასისტ. პროფ. ფარესაშვილი |
| 13 | სტატისტიკა ტურიზმისათვის | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მათემატიკა (ტურიზმისათვის) | 3 შემოდგომა | ასოც. პროფესორი ნ.აბესაძე |
| 14 | ოპერაციათა მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომა | ეკონ. დოქტორი ეკა ჩოხელი |
| 15 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 7 შემოდგომის | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 16 | მარკეტინგის საფუძვლები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობების გარეშე | 4 გაზაფხული | სრ. პროფ. ნ. თოდუა ასოც. პროფ. ნ. ოქრუაშვილი ბ. მღებრიშვილი |
| 17 | ტურიზმის ეკონომიკა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მაკროეკონომიკის პრინციპები (ეკონომიკის პრინციპები 2) | 3 შემოდგომა | სრ. პროფესორი მ. მარგველაშვილი |
| 18 | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგის საფუძვლები | 5 შემოდგომა | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| 19 | საერთაშორისო ტურიზმი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 6 გაზაფხული | ასოც. პროფესორი ე.ლეკაშვილი |
| 20 | კორპორაციათა ფინანსები | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მაკროეკონომიკის პრინციპები; | 6 გაზაფხული | ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | (ეკონომიკის პრინციპები 2); მათემატიკა (ტურიზმისათვის) | | ასოც. პროფესორი ნ.კაკაშვილი |
| **არჩევითი კურსები / მოდულები** | | | | | | | | | |
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | |
| **მოდული: ტურიზმის მენეჯმენტი** | | 20 | | | | | უცხო ენა 1, 2, 3, 4; შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1, 2; მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები; ზუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფინანსური აღრიცხვა; მმართველობითი აღრიცხვა – 1 დონე; მენეჯმენტის საფუძვლები; სტატისტიკა ტურიზმისათვის; ოპერაციათა მენეჯმენტი; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა | 5 შემოდგომის, 6 გაზაფხულის | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | და მასპინძლობაში; მარკეტინგის საფუძვლები; ტურიზმის ეკონომიკა; ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი; საერთაშორისო ტურიზმი; კორპორაციათა ფინანსები | | |
| 1 | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომის | ეკონ. დოქტორი მაია მელაძე |
| 2 | კულტურული ტურიზმი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | 6 გაზაფხულის | ისტ. მეცნ. დოქტ. გიორგი მჭედლიშვილი |
| 3 | ეკოლოგია და ტურიზმი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | 5 შემოდგომის | ეკონ. დოქტორი ნინო გომელაური |
| 4 | ტურიზმის მდგრადი განვითარება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; ტურიზმის ეკონომიკა | 6 გაზაფხულის | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| **მოდული: სასტუმროს და კურორტის მენეჯმენტი** | | 20 | | | | | უცხო ენა 1, 2, 3, 4; შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1, 2; მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები; | 5 შემოდგომის, 6 გაზაფხულის | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ფინანსური აღრიცხვა; მმართველობითი აღრიცხვა – 1 დონე; მენეჯმენტის საფუძვლები; სტატისტიკა ტურიზმისათვის; ოპერაციათა მენეჯმენტი; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში; მარკეტინგის საფუძვლები; ტურიზმის ეკონომიკა; ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი; საერთაშორისო ტურიზმი; კორპორაციათა ფინანსები | | |
| 1 | სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომის | „ქორთიარდ მერიოტი“ მ. გოჩელაშვილი |
| 2 | სასტუმროს ფრონტ–ოფისის მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 6 გაზაფხულის | „ქორთიარდ მერიოტი“ ნ. ურუშაძე |
| 3 | სურსათისა და სასმელის მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 6 გაზაფხულის | „ქორთიარდ მერიოტი“ მ. შამუგია |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი | | |
| 4 | კურორტის მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომის | აკად. ნ. სააკაშვილი, სამედიცინო უნივერსიტეტი, კურორტოლოგიის ინსტ; ლ.ედილაშვილი, ეკონ.სამინისტრო. |
| **სულ:** | | **120** | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **პრაქტიკა** | | | | | | | | |
| | | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | პრაქტიკის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი/სემესტრები | პრაქტიკის ხელმძღვანელი |
| | **პრაქტიკა** | **10** | 90/160 | | სავალდებულო | ერთ–ერთი არჩევითი მოდულის კურსები | 8 გაზაფხულის | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საბაკალავრო ნაშრომი** | | | | | | |
| | საბაკალავრო ნაშრომი | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რ–ბა | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) | დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი/სემესტრები | საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კვლევითი პროექტი | 10 | 90/160 | | სავალდებულო | საფაკულტეტო და მაპროფილებელი სასწავლო კურსები | 8 გაზაფხულის | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| სულ: | | 180 | | | | | | |
| დამატებითი სპეციალობა | | 60 | | | | | | |
| სულ: | | 240 | | | | | | |

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: ___ ___ _____ ფაკულტეტის ბეჭედი:

## პროგრამის სტრუქტურა

| № | საგნის/მოდულის დასახელება | საგნის/მოდულის სტატუსი: სავალდებულო არჩევითი | კრედიტების საერთო რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სემესტრები | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| | *საფაკულტეტო კურსები* | | | | | | | | | | |
| 1. | მათემატიკა (ტურიზმისათვის) | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| 2. | მსოფლიო ხელოვნების ისტორია | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| 3. | საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| 4. | შესავალი ფსიქოლოგიაში | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | |
| 5. | სოციოლოგიის შესავალი | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | |
| 6. | ინფორმატიკა ბიზნესში | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| სულ: | | | 30 | | | | | | | | |
| | *თავისუფალი კრედიტები* | | 10 | | 5 | | | | | 5 | |
| | *მაპროფილებელი სასწავლო კურსები* | | | | | | | | | | |
| 1. | ინგლისური ენა 1 | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| 2. | ინგლისური ენა 2 | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | |
| 3. | ინგლისური ენა 3 | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 4. | ინგლისური ენა 4 | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |
| 5. | შესვალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 6. | შესვალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. | მიკროეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | 5 | | | | | | | |
| 8. | მაკროეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | |
| 9. | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | 5 | | | | | | |
| 10. | ფინანსური აღრიცხვა 1 | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 11. | მმართველობითი აღრიცხვა – 1 დონე | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |
| 12. | მენეჯმენტის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 13. | სტატისტიკა ტურიზმისათვის | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |
| 14. | ოპერაციათა მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 15. | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | |
| 16. | მარკეტინგის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |
| 17. | ტურიზმის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 18. | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 19. | საერთაშორისო ტურიზმი | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | |
| 20. | კორპორაციათა ფინანსები | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | |
| | **ტურიზმის მენეჯმენტის მოდული** | **არჩევითი** | **20** | | | | | | | | |
| 1. | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | – | 5 | | | | | 5 | | | |
| 2. | კულტურული ტურიზმი | – | 5 | | | | | | 5 | | |
| 3. | ეკოლოგია და ტურიზმი | – | 5 | | | | | 5 | | | |
| 4. | ტურიზმის მდგრადი განვითარება | – | 5 | | | | | | 5 | | |
| | **სასტუმროს და კურორტის მენეჯმენტის მოდული** | **არჩევითი** | **20** | | | | | | | | |
| 1. | სასტუმროს ოპერირებები და მენეჯმენტი | – | 5 | | | | | 5 | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.** | სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი | – | 5 | | | | | | 5 | | |
| **3.** | სურსათისა და სასმელის მენეჯმენტი | – | 5 | | | | | | 5 | | |
| **4.** | კურორტის მენეჯმენტი | – | 5 | | | | | 5 | | | |
| **სულ:** | | | **120** | | | | | | | | |
| | **პრაქტიკა** | | **10** | | | | | | | | 10 |
| | **საბაკალავრო ნაშრომი** | | **10** | | | | | | | | 10 |
| **სულ:** | | | **180** | **30** | **30** | **25** | **25** | **20** | **20** | **10** | **20** |
| **დამატებითი სპეციალობა** | | | **60** | | | | | | | | |
| **სულ:** | | | **240** | | | | | | | | |

**ლ) პროგრამის ხელმძღვანელი** – თსუ სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი (პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV იხილეთ დანართში 2).

**მ) დასაქმების სფეროები**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს ტურიზმში შეუძლიათ დასაქმდნენ: სპეციალიზებულ ტურ–ოპერატორ კომპანიებში, კურორტის მენეჯმენტის კომპანიებში, კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროს მენეჯერის, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში, სასტუმრო ქსელებში – სურსათისა და სასმელის მენეჯერის, საკონვენციო მენეჯერის, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერის, ფრონტ–დესკის მენეჯერის, ოთახების განხრის მენეჯერის და სხვა პოზიციებზე.

**ნ) დამატებითი ინფორმაცია**

ძირითადი სპეციალობა სტუდენტის მიერ ირჩევა პროგრამის დაწყებისთანავე. კომბინირება შესაძლებელია ნებისმიერ დამატებით პროგრამასთან, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. სტუდენტთა საერთო რაოდენობა, არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების პირობებში, არ უნდა აღემატებოდეს 120-ს.
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტებს ტურიზმში შეუძლიათ დადგენილი წესით გააგრძელონ სწავლა მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, როგორც ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში, ასევე, სხვა ბიზნეს სპეციალობებზე.

**ო) პროგრამის ანალოგები**

- **Strayer University (Virginia, USA) –** www.strayeredu.net/cms/index.php
- **State University of New York – Delhi (NY, USA) –** www.delhi.edu/academics/catalog-11/bachelor_degrees/index.php
- **PACE University, Lubin School of Business (NY, USA) –** www.pace.edu/lubin-academic-programs/undergraduate-programs/bba-programs/hospitality-and-tourism-management-bba/
- **Modul University Vienna (Austria) –** www.modul.ac.at/thm/bba/info

# დამატებითი სპეციალობის პროგრამა

**ა) დამატებითი სპეციალობის პროგრამის სახელწოდება –**
ტურიზმი (Tourism )

**ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

**გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით –** 60 ECTS კრედიტი.

**დ) სწავლების ენა –** ქართული

**ე) პროგრამის მიზანი**

დამატებითი სპეციალობის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტებს მეტი წარმატების შანსი შრომის ბაზარსა თუ სწავლების შემდგომ საფეხურზე. პროგრამა აძლევს სტუდენტებს ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ იმ მინიმალურ ცოდნას, რომელიც მათთვის აუცილებელია ამ სფეროში საქმიანობისათვის. პროგრამა წარმოადგენს ძირითადი პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს და შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტებმა მიიღონ მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში საქმიანობის დასაწყებად საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

**ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა**

ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე დაიშვება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ნებისმიერი სტუდენტი. სხვა ფაკულტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს მოცემულ პროგრამაზე დაშვებისათვის მოუწევთ დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება (მაგ. ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე მაინც).

**ზ) სწავლის შედეგები**

ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1. <u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

1.1. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა;
1.2. ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს ტერმინოლოგიის განმარტება;
1.3. ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების აღწერა;
1.4. დარგის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი და ოპერაციული მენეჯმენტის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის აღწერა და მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
1.5. ტურისტული საქმიანობის ანალიზის და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების აღწერა და განხილვა.

2. <u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>

2.1. ტურისტულ ორგანიზაციაში პროცესების მართვის შეფასება, კონსტრუირება, ეფექტიანობის გაზომვა, მენეჯმენტის პროცესის მონაწილეების განსაზღვრა;
2.2. მონაცემების თავმოყრა, დაჯგუფება, ანალიზი, შესაძლებლობების განსაზღვრა და პროგნოზირება, ექსპერიმენტირება და გადაჭრა;

2.3. მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების ჩამოყალიბება; შესაბამისი რესურსების შეფასება;
2.4. საკუთარ სამუშაოზე პასუხისგება და მისი შეფასება/კრიტიკა;
2.5. ინიციატივის გამოჩენა.

3. <u>დასკვნის უნარი</u>
3.1. ინფორმაციის შეფასება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი სტანდატრული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;
3.2. დროის დაგეგმვისა და ორგანიზების დაკავშირება, დასკვნების გამოტანა.

4. <u>კომუნიკაციის უნარი</u>
4.1. მშობლიურ ენაზე სპეციალისტებთან კომუნიკაცია და კამათი;
4.2. საქმიანი დოკუმენტის შედგენა მენეჯმენტის ტერმინოლოგიის გამოყენებით; იდეის, არსებული კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად და წარდგენა /პრეზენტაცია;
4.3. თავისი სპეციალობის სფეროს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსის თარგმნა უცხო (ინგლისური) ენიდან და საქმიანი დისკუსიის წარმართვა.

5. <u>სწავლის უნარი</u>
5.1. ცოდნის დამოუკიდებლად ამაღლება ლიტერატურის გამოყენებით;
5.2. საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

6. <u>ღირებულებები</u>
6.1. ღირებულებების, ახალი და კომპლექსური იდეების ფორმირების პროცესში მონაწილეობა;
6.2. ღირებულებათა დასამკვიდრებლად სწრაფვა.

## თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებიდან – ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წყვილში მუშაობა, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერითი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, ესეს შესრულება , ბიზნეს წერილების დაწერას და ა.შ.), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, მოდელირებული სიტუაციების განხილვა, ინდუქცია, დედუქცია, ახსნა–განმარტებითი ანგარიშის დაწერა, რეფერატის შესრულება, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა და სხვა მეთოდები.

## ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

| ქულები | შეფასება | ნიშანი |
|---|---|---|
| 91 - 100 | ფრიადი | A |
| 81 - 90 | ძალიან კარგი | B |
| 71 - 80 | კარგი | C |
| 61 - 70 | საშუალო | D |
| 51 - 60 | საკმარისი | E |
| 41 - 50 | არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება | FX |
| 0 - 40 | სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი | F |

**კ) პროგრამის სტრუქტურა - სასწავლო გეგმა**

დამატებითი სპეციალობის პროგრამა 60 კრედიტიანია. მასში გათვალისწინებულია 2 არჩევითი 5 კრედიტიანი კურსი, რომელთაგან ასარჩევია ერთი.

**კურსების სილაბუსები და ანოტაციები იხილე დანართში 1.**

## დამატებითი სპეციალობის პროგრამა – ტურიზმი

## სასწავლო გეგმა

| სასწავლო კურსები / მოდულები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოდი | კურსის/მოდულის სახელწოდება | ECTS კრედიტები | საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | | | დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა | საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის) | ლექტორი/ლექტორები |
| | | | სულ | ლექცია | სემინარი/პრაქტიკული | | | | |
| 1 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | წინაპირობების გარეშე | 3 შემოდგომა | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 2 | შესვალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | 4 გაზაფხული | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 3 | სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომის | „ქორთიარდ მერიოტი“ მ. გოჩელაშვილი |
| 4 | სტატისტიკა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მათემატიკა (ტურიზმისთვის) | 7 შემოდგომა | ასოც. პროფესორი ნ.აბესაძე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტურიზმისათვის | | | | | | | | |
| 5 | საერთაშორისო ტურიზმი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 6 გაზაფხული | ასოც. პროფესორი ე.ლეკაშვილი |
| 6 | ტურიზმის ეკონომიკა | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | ეკონომიკის პრინციპები 2 (მაკროეკონომიკის პრინციპები) | 3 შემოდგომა | სრ. პროფესორი მ. მარგველაშვილი |
| 7 | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; მენეჯმენტის საფუძვლები | 5 შემოდგომის | ეკონ. დოქტორი მაია მელაძე |
| 8 | ეკოლოგია და ტურიზმი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | 5 შემოდგომის | ეკონ. დოქტორი ნინო გომელაური |
| 9 | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | მარკეტინგის საფუძვლები | 5 შემოდგომა | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| 10 | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; | 7 შემოდგომის | პროფ. მაია მარგველაშვილი |
| 11 | ტურიზმის მდგრადი განვითარება | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2; ტურიზმის ეკონომიკა | 6 გაზაფხულის | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| 12 | სასტუმროს ფრონტ- | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის | 6 გაზაფხულის | „ქორთიარდ მერიოტი“ |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოფისის მენეჯმენტი* | | | | | | მენეჯმენტში 2; | | მ. გოჩელაშვილი |
| 13 | ტურის გამყოლის (გიდის) ბიზნესი* | 5 | 125 | 15 | 30 | 80 | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | 6 გაზაფხულის | სრ. პროფესორი მ.მარგველაშვილი |
| | *სულ* | **60** | | | | | | | |

_____

* დამატებითი სპეციალობის (Minor) 2 არჩევითი კურსიდან ასარჩევია 1.

**სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____**

**ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____**

**ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____**

**ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____**

**უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____**

**თარიღი: ___ ___ _____ ფაკულტეტის ბეჭედი:**

## დამატებითი სპეციალობის პროგრამის სტრუქტურა

| № | საგნის/მოდულის დასახელება | საგნის/მოდულის სტატუსი: სავალდებულო არჩევითი | კრედიტების საერთო რაოდენობა | კრედიტების განაწილება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სემესტრები | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| 1. | შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 1 | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 2. | შესვალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში 2 | სავალდებულო | 5 | | | | 5 | | | | |
| 3. | სასტუმროს ოპერირება და მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 4. | სტატისტიკა ტურიზმისათვის | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | |
| 5. | საერთაშორისო ტურიზმი | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | |
| 6. | ტურიზმის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | | | 5 | | | | | |
| 7. | ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 8. | ეკოლოგია და ტურიზმი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 9. | ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი | სავალდებულო | 5 | | | | | 5 | | | |
| 10. | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში | სავალდებულო | 5 | | | | | | | 5 | |
| 11. | ტურიზმის მდგრადი განვითარება | სავალდებულო | 5 | | | | | | 5 | | |
| 12. | სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | |
| 13. | ტურის გამყოლის (გიდის) ბიზნესი | არჩევითი | 5 | | | | | | 5 | | |
| | *სულ* | | **60** | **–** | **-** | **10** | **5** | **20** | **15** | **10** | |

* დამატებითი სპეციალობის (Minor) 2 არჩევითი კურსიდან ასარჩევია 1.

**ლ) პროგრამის ხელმძღვანელი –** თსუ სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი (პროგრამის ხელმძღვანელისა და ლექტორების დეტალური CV იხილეთ დანართში 2).

**მ) დასაქმების სფეროები**

ტურიზმის დამატებითი სპეციალობის მქონე ბაკალავრებს შეუძლიათ დასაქმდნენ: ოპერატორებად ტურისტულ კომპანიებში, საკურორტო ობიექტებზე, კონვენციებისა და ვიზიტორთა ბიუროებში, საჯარო სექტორისა და ეროვნული ტურიზმის ორგანიზაციებში, სასტუმრო ქსელში – სურსათისა და სასმელის, გაყიდვებისა და მარკეტინგის ოპერატორის, ფრონტ–დესკის ოპერატორისა და სხვა პოზიციებზე.

**ნ) დამატებითი ინფორმაცია**

სტუდენტთა საერთო რაოდენობა დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე, არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზიდან და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, არ უნდა აღემატებოდეს 60 ადამიანს.